



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ქ. ახალქალაქში

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

ალექსანდრე კეკელიძე

ინგა ბოჭორიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [REDACTED]

სახე:

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2021 წლის 24 მარტის MES 2 21 0000279114 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, (ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119), „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ბრძანების საფუძველი გახდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 13 მარტს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი ქ. ახალქალაქში (აღმაშენებლის ქ. №119) "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურ ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 12 აპრილს, 15.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტის რექტორს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ „კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება და ონლაინ დათვალიერდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურადაა ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზემოთხსენებული ბრძანების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ინგა ბოჭოიძის ფუნქციებად დამატებით განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ ახალქალაქში, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, სადაც ასევე ხორციელდება აკადემიური პროგრამები. პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. აღსანიშნავია, ასევე, რომ უნივერსიტეტმა ახალქალაქში შეაჩერა ერთი საბაკალავრო პროგრამა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მე-3 კორპუსის გეგმის მიხედვით, აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებისათვის განსაზღვრულ სივრცეებს შორის არ არის გადაფარვა.

შესაბამისად, უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ახალქალაქში განთავსებული მესამე კორპუსი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილია.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა: არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გაცემულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1.1. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოს სასწავლო გარემო საჭირო მატერიალური რესურსით.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

2.1.1.1. „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილ დოკუმენტში- „ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს, დაშვებულია ტექნიკური შეცდომები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ზუსტად მიუთითოს სტუდენტთა რაოდენობა, გაითვალისწინოს კონკრეტული პროგრამის საჭიროებები და შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა.

2.2.1.3. სასურველი პროფესიულ მასწავლებელთა შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VII. ინფორმაცია უსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 18.05.2020 წ დადგენილება № 8.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





PDF Eraser Free პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, მოდულური. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	20 პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
 ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



8. **PDF Eraser Free** ჰსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჰსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება ჰსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემების განხორციელების მიზანშეწონილობა“, რომელშიც საუბარია კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების მზარდ ტემპზე და პროგრამის აქტუალობაზე, როგორც თანამედროვე გარემოში, ასევე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და კონკრეტულად ქ. ახალქალაქში. როგორც დოკუმენტშია აღწერილი, პროგრამის განსაკუთრებული საჭიროება კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც, მსოფლიო და მათ შორის საქართველო მოიცვა პანდემიამ და სამუშაო პროცესები მასობრივად გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, რამაც კიდევ უფრო აშკარა გახადა კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების სპეციალისტების მზარდი მოთხოვნა რეგიონში, თავისი სპეციფიკისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

პროგრამის შერჩევის დროს უნივერსიტეტი დაეყრდნო ასევე სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, რაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გულისხმობს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში და კერძოდ რეგიონის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, რაშიც წარმოდგენილი პროგრამა დიდ წვლილს შეიტანს, რამდენადაც „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, რამდენადაც სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისიის ყველა განაცხადი მოიცავს პროფესიულ მიმართულებებს. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც ერთერთ სტრატეგიულ მიზანს პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გულისხმობს პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას ახალქალაქში და მის შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტთან „ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology“, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამა შემუშავებულია მოდულური მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს ორ სასწავლო გეგმას როგორც სრული ზოგადი განათლების ასევე საბაზო განათლების მქონე პირთათვის (ინტეგრირებული მოდულები).

შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება), რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11. 18.05.2020 წ. ოქმი № 2.

წესი ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

წარმოდგენილი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (40 სტუდენტი, მათ შორის 20 ინტეგრირებული პროგრამისთვის) განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული - „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“. რომელიც დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №33, 08, 05,2018 წ. ოქმი N 8.

მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო (A, B და C), აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგანმანათლებლო რესურსი, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი.

„კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილ დოკუმენტში- „ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს, დაშვებულია ტექნიკური შეცდომები, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ზუსტად მიუთითოს სტუდენტთა რაოდენობა, გაითვალისწინოს კონკრეტული პროგრამის საჭიროებები და შესაბამისი მატერიალური რესურსის არსებობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გადმოწმდა წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, რომელიც დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა. გადმოწმდა ასევე მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი და დადგინდა მათი შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

წარმოდგენილი პროგრამისთვის არჩევითი მოდული არ არის განსაზღვრული.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (18.05.2020 წ დადგენილება № 8). რამდენადაც დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ 3.1 მუხლის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, დგინდება, რომ პროგრამა უფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება კონკრეტულია და სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად პროფესიული სტუდენტისათვის სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში Fourth level vocational qualification in Computer network and systems და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პროფესიული პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს.

ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების საფუძველია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო გეგმა ინტეგრირებული პროგრამისთვის გაწერილია 3 სასწავლო წელზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია;
- სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული პროგრამა;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №8. 18.05.2020.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ონლაინ ჩართვაში ექსპერტებმა დავათვალიერეთ №306 აუდიტორია, რომელშიც იგეგმება „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 20-20 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში). ოთახში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის მაგიდა და სკამები. რაც შეეხება მატერიალურ რესურსს, რომელიც ამ ეტაპზე უნივერსიტეტს არ გააჩნია, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (10.03.2021 MES 0 21 0000213763), რომლითაც მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს ბატონ დავით ფარცვანიას თხოვნით პროფესიული საგანმანათლებლო ხუთი პროგრამის, მათ შორის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





PDF Eraser Free

პროგრამისთვის ასევე ინტეგრირებული მოდულის -მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდულისათვის (სამ ჯგუფზე - ჯგუფში მაქსიმუმ 20 სტუდენტი) სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭიროა აღჭურვილობის შესაძენად. წერილს დართული აქვს პროგრამების მიხედვით აღჭურვილობების ჩამონათვალი საბაზრო ღირებულების მითითებით. საპასუხო წერილით (MES 4 21 0000230083 15/03/2021) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იღებს ვალდებულებას, ავტორიზაციის პროცესის წარმატებით გასავლელად და პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისათვის, უზრუნველყოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსება, საჭირო აღჭურვილობის შესაძენად.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ასევე წარმოდგენილი პროგრამისთვის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა რომლითაც განსზღვრულია შესაბამისი აღჭურვილობების ჩამონათვალი, შესრულების ვადები (2021 წლის აგვისტო), შესაბამისი თანხები (38315 ლარი აუდიტორიის აღსაჭურვად და 19 300 ლარი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულით განსაზღვრული შედეგები განსახორციელებლად), პასუხისმგებელი პირი. ჩართულ მხარედ მითითებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 18 მასწავლებელი, მათ შორის 8 ინტეგრირებულ პროგრამაზე. თითოეული მათგანი შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის საფუძველზე, შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია მასწავლებელთა დატვირთვა, რც არ აღემატება კვირეულ 40 საათს. შერჩეული კონტიგენტი არ წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რაც ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლები რეალურად უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების შესაბამის ხარისხს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი პირადი საქმეები. პროგრამის განხორციელების მდგრადობის დასადგენად ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და რამდენიმე მათგანთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება, სამუშაო გამოცდილება და კომპეტენცია შესაბამისია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის, თუმცა სასურველი მათი შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის, შერჩეულნი არიან კონკურსის გზით. შერჩევისას ძირითად კრიტერიუმებად გათვალისწინებულია იყო მათი სამუშაო გამოცდილება, შესაბამისი კვალიფიკაცია და ამის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი)“ თანახმად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი აკმაყოფილებს. მას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია - ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტების მიერ, უნივერსიტეტის №3 კორპუსში, რომელიც მდებარეობს ქ. ახალქალაქში, განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით OpenBiblio, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





PDF Eraser Free

ვებგვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, როგორც ახალციხეში, ასევე ახალქალაქში განთავსებულ მე-3 კორპუსში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ახალციხეში 2020 წლიდან ახორციელებს ამ პროგრამას და შესაბამისად ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ჩატვირთულია პროგრამისთვის გათვალისწინებული სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში, შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც, რამდენადაც მასში განთავსებულია 3 კომპანი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები) თანახმად უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მის მოდიფიკაცია (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) და/ან აკომოდაცია (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ბიუჯეტი, როგორც მოდულური, ასევე ინტეგრირებული სწავლებისთვის. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს, ორივე

19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიდგომით სწავლების შემთხვევაში, შეადგენს მინიმუმ 12 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ძირითადად პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, მასალების და ნედლეულის ღირებულებას, კომუნალურ გადასახედებს და ავტორიზაციის გადასახადს მოხმარდება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ვებ-გვერდის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში ონლაინ დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიულ მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ინტერვიუების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომლითაც განსაზღვრულია საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესების მართვა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია და აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2 დამტკიცებულია ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას.

ექსპერტები გავეცანით წარმოდგენილ დოკუმენტს, რომლის თანახმად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მუხლი №8 თვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება / ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად; როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ისინი აქტიურად არიან აღნიშნულ პროცედურებში ჩართულნი. მათივე განმარტებით პროცესში ჩართულნი არიან პროფესიული სტუდენტები და ასევე კურსდამთავრებულებიც. გამოკითხვები ტარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free
ელექტრონული ან სატელეფონო ინტერვიუების მეშვეობით, რომლის ანალიზი გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამების განვითარების მიზნით.

არსებული მექანიზმებით შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ხარისხის შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში წესების დაცვით ცვლილებების შეტანა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამისთვის შედგენილია 2 სასწავლო გეგმა, ერთი ინტეგრირებული, ხოლო მეორე არაინტეგრირებული პროგრამისთვის. სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულების წინაპირობები, საათების კვირეული ზღვრული რაოდენობა, საგამოცდო ორკვირიანი შუალედი წინსწრები მოდულებისთვის.

3. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

წარმოდგენილი დოკუმენტებით და პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში გარკვეული პერიოდულობით ტარდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების და საჭიროების დადგენა გამოკითხვების მეშვეობით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free უზრუნველყოფს კვლევით გამოვლენილი შედეგების ინფორმაციის მიწოდებას იმ სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებაზე. განისაზღვრება კონკრეტული ვადა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა ანგარიშის სახით ეცნობება ადმინისტრაციას. საჭიროების შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის გზები აისახება სამოქმედო გეგმაში.

დაწესებულების წამომადგენელთა განმარტებით ასეთი გამოკითხვები იგეგმება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პერიოდში ახალქალაქშიც.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს, მაგრამ საჭიროებენ მუდმივ განვითარებას ამ მიმართულებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ ნ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით - მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით - მუხლით №7, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსადგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

როგორც დაწესებულების თვითშეფასებაშია წარმოდგენილი და რაც ასევე ჩართვის დროს შესაბამის პირებთან გასაუბრებით დასტურდება, აღნიშნული პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებელ ობიექტად განსაზღვრულია თვითონ უნივერსიტეტი, რომლის თითოეულ კორპუსში განთავსებულია შიდა ადმინისტრირების და ასევე კორპუსების დამაკავშირებელი ქსელიც, აღნიშნული ქსელის ადმინისტრირება ხდება შესაბამისი სამსახურისა და პროფესიონალი კადრების მიერ, რომლებიც ასევე ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში. სსიპ - სამცხე ჯავახეთის საელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ერთიანი საუნივერსიტეტო ინფორმაციული სივრცე, (ე.წ. ინტერნეტი), რომელშიც რეალიზებულია სხვადასხვა ელ.სერვისები, დაფარულია უნივერსიტეტის ყველა საჭირო სივრცე (ყველა კორპუსი), სვადასხვა ლოკაციებზე: ქ.ახალციხე, რუსთაველის ქ.N113 და N122ა, ასევე ახალქალაქი, დავით აღმაშენებლის ქ.N119. ქსელში ჩართულია დაწესებულებაში არსებული ყველა სასწავლო კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია და სასწავლო აუდიტორია, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი და ინტერნეტის სერვისები.

ზემოხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელება იგეგმება ახალქალაქში უნივერსიტეტის მესამე კორპუსში გამოყოფილ აუდიტორიებში. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ფარგლებში დანართის სახით წარმოდგენილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალში გათვალისწინებულია ანტისტატიკური ხალიჩის, სამაჯურების და დამცავი სათვალის შესყიდვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული . კითხვარები და კვლევის შედეგები;
- სასწავლო გეგმებით;
- კვლევების ანალიზით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში შექმნილია „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2. წესის თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.

ვფიქრობთ, ამ წესების დაცვის შემთხვევაში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების მიერ შექმნილი „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ ორი დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი რომელიც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან არის დაკავშირებული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ პროცედურებს, მაგრამ საჭიროებენ შემდგომ განვითარებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“,
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

29.04.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: